

CV

2014-31.08.2016 - შპს "ჯი-დი-ეს თი-ვი", გადაცემა "2030-ის", გენერალური პროდიუსერი;

2013-2014 - შპს "სინათლის სახლი ორიონის" დირექტორი;

2012 - ტელეკომპანია მე-9 არხის დირექტორის მოადგილე, გადაცემა "კონსილიუმის" წამყვანი;

2010-2012 - ელექტრონული ჟურნალი "კალმასობა", მთავარი რედაქტორი.

2008-2009 - სახალხო დამცველის აპარატი, ინფორმაციისა და პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი;

2005-2008 - სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი, საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (დუშეთის, თიანეთის, მცხეთის, ყაზბეგის მუნიციპალიტეტები);

2004-2005 საქართველოს პარლამენტის წევრი;

2004-2005 საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის თავმჯდომარე;

1999-2004 საქართველოს პარლამენტის წევრი;

1999-2004 საქართველოს პარლამენტის განათლებისა და ტექნოლოგიების ქვეკომიტეტის თავმჯდომარე;

2000-2004 ეროვნული თანხმობის დროებითი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე; კომისიის მუშაობის შედეგად 150-ზე მეტი მსჯავრდებული, ე.წ. "ზვიადისტი", გათავისუფლდა პატიმრობიდან.

1993-2000 გაზეთ "კავკასიონის" დამფუძნებელი;

1995-1997 გაზეთ "კავკასიონის" რედაქტორი;

1998-1999 გაზეთ "კავკასიონის" მთავარი კონსულტანტი;

1997-1998 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ქრისტიანული კულტურისა და სიტყვიერების ისტორიის შემსწავლელი კათედრის დოცენტი;

1992-1997 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ქრისტიანული კულტურის შემსწავლელი ლაბორატორიის გამგე;

1990-1992 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ქრისტიანული კულტურის შემსწავლელი ლაბორატორიის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი;

1989 დავიდავი დისერტაცია ქართულ სარაინდო რომანის ტიპოლოგიაზე, მომენიჭა მეცნიებათა კანდიდატის ხარისხი, რაც ამჟამად გათანაბრებულია მეცნიერებათა დოქტორის ხარისხთან;

1988-1990 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის მეცნიერ-თანამშრომელი;

1984-1994 მე-6 საშუალო სკოლა, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი;

1983-1984 საქართველოს კულტურის სამინისტროსთან არსებული ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველო, მხატვარ-რესტავრატორი;

1981-1982 კინოსტუდია "ქართული ფილმი", გაერთიანება "დებიუტი", უფროსი რედაქტორი;

1975-1980 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფილოლოგიის ფაკულტეტი. მომენიჭა ფილოლოგიის, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის კვალიფიკაცია;

ენები: ქართული (მშობლიური), რუსული (კარგად), ინგლისური (საშუალოდ);

ვარ დამხმარე სასკოლო სახელმძღვანელოს თანაავტორი, 20-ზე მეტი სამეცნიერო შრომის ავტორი და სხვადასხვა მედიასაშუალებაში გამოქვეყნებული მაქვს ასზე მეტი პუბლიცისტური სტატია.

ვარ ისრაელის კეთილი ნების ელჩი;

1993 წელს ვმონაწილეობდი აფხაზეთში ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად მიმდინარე ბრძოლებში;

1997 წელს ჟურნალისტ ლუბა ელიაშვილთან ერთად გავაკეთე რეპორტაჟები აფხაზეთიდან და ჩეჩნეთიდან; ჩავწერეთ ინტერვიუები: სოხუმში - ვლადისლავ არძინბასთან, გროზნოში - იანდარბიევთან, ნუხაევთან და ჩეჩნეთის სხვა ლიდერებთან. ყველა ეს მასალა გავიდა საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში;

18.12.2016

სამოტივაციო წერილი

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს გამოაცხადებული აქვს ღია კონკურსი საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად. გთავაზობთ ჩემს კანდიდატურას, შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით: საზოგადოებრივ მაუწყებელს განსაკუთრებული როლი აკისრია საქართველოს სახელმწიფოს და საზოგადოების განვითარებაში და, ამავ დროს, უნიკალური შესაძლებლობები აქვს, რათა საქართველოს მედიის უპირობო ლიდერის პოზიცია დაიბრუნოს. ვფიქრობ, რომ საზოგადოებრივ მაუწყებელში არსებული ინტელექტუალური-მატერიალური რესურსი და ჩემი გამოცდილება განვითარების მყარ საფუძველს შექმნის და უახლოეს წლებში საზოგადოებრივი მაუწყებელი საქართველოს მედიასივრცის ფლაგმანი გახდება. მიმაჩნია, რომ ჩემი შრომითი ბიოგრაფია და გამოცდილება სრულად შეესაბამება „მაუწყებლობის შესახებ“ კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნებს: ვარ საქართველოს მოქალაქე, მეცნიერებათა დოქტორი, მაქვს 35 წლიანი მუშაობის სტაჟი, მათ შორის, ხელმძღვანელ თანამდებობებზე - 20 წელზე მეტი, სამეცნიერო-პედაგოგიურ სფეროში ვმუშაობდი 16 წელი, ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში - 6 წელი; ვიყავი ორი მოწვევის პარლამენტის წევრი, სახელმწიფო რწმუნებული (გუბერნატორი), ჟურნალისტიკაში ვარ 1993 წლიდან დღემდე - 23 წელი, მათ შორის, მაქვს ამ სფეროში ხელმძღვანელ თანამდებობებზე მუშაობის 11 წლიანი გამოცდილება: ვიყავი გაზეთის დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი („კავკასიონი“), ელექტრონული ჟურნალის მთავარი რედაქტორი („კალმასობა“), ტელევიზიის დირექტორის მოადგილე („მე-9 არხი“) და საინფორმაციო პროგრამების მთავარი პროდიუსერი (GDS, „2030“ და „59 წამი“). წლების განმავლობაში, სხვადასხვა მედიასაშუალებაში გამოქვეყნებული მაქვს ასზე მეტი პუბლიცისტური სტატია. ვიყავი აფხაზეთიდან და ჩეჩნეთიდან გაკეთებული რეპორტაჟების თანაავტორი: ჩავწერეთ ინტერვიუები სოხუმში - ვლადისლავ არძინბასთან, გროჯნოში - იანდარბიევთან, ნუხაევთან და ჩეჩნეთის სხვა ლიდერებთან და ყველა ეს მასალა გამოქვეყნდა საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერით. ამავდროულად, ვარ დამხმარე სასკოლო სახელმძღვანელოს თანაავტორი და 20-ზე მეტი სამეცნიერო შრომის ავტორი.

პატივისცემით,

ვასილ მალაფერიძე